ეს დოკუმენტი განკუთვნილია საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტრებისთვის (PAPPs). მე-8 ნაწილში ეს საკითხი განხილულია ბიზნესში დასაქმებულ პროფესიონალ ბუღალტრებთან მიმართებით.

# ბესსს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა

## ნაწილი 9: რეაგირება კანონმდებლობის დარღვევაზე [საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტრებისთვის

ბუღალტრის პროფესიის განმასხვავებელი თავისებურებაა ის, რომ იგი თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას, იმოქმედოს საზოგადოებრივი ინტერესების სასარგებლოდ. პროფესიონალი ბუღალტერი შესაძლებელია აღმოჩნდეს ისეთ სიტუაციაში, როდესაც იგი გამოავლენს ან იეჭვებს, რომ დამსაქმებელი ორგანიზაცია ან დამკვეთი არ იცავს კანონმდებლობას. პატიოსნებისა და პროფესიული ქცევის ძირითადი პრინციპები პროფესიონალ ბუღალტერს ავალდებულებს, რომ შესაბამისი ზომების მიღებით მოახდინოს რეაგირება კანონმდებლობის დარღვევაზე (NOCLAR) ისე, რომ საზოგადოებრივი ინტერესები დააყენოს პირველ ადგილზე..

თუ საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტერი გამოავლენს ან უბრალოდ ეჭვობს, რომ არსებობს ან შესაძლოა წარმოიქმნას რაიმე სახის დარღვევა, მან უნდა გააფრთხილოს ხელმძღვანელობა ან, საჭიროების შემთხვევაში, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები.

- ამ ქმედების მიზანია, დამკვეთს მიეცეს გამოვლენილი ან საეჭვო დარღვევის შედეგების გამოსწორების, აღმოფხვრის ან შემსუბუქების საშუალება (ან ხელი შეუშალოს დარღვევის წარმოშობას, თუ იგი ჯერ არ მომხდარა).
- პროფესიონალ ბუღალტერს ასევე ევალება დამატებითი ზომების გატარება საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისად.

**ქვემოთ წარმოდგენილია შესაბამისი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების მაგალითები, რომლებიც ეხება შემდეგ საკითხებს:**

- თაღლითობა, კორუფცია და მექრთამეობა
- საბანკო საქმიანობა და სხვა ფინანსური პროდუქტები/მომსახურება
- მონაცემთა დაცვა
- საგადასახადო და საპენსიო ვალდებულებები/გადახდები
- გარემოს დაცვა
- ფასიანი ქაღალდების ბაზრები და ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა
- ფულის გათეთრება, ტერორიზმის დაფინანსება და შემოსავალი უკანონო საქმიანობიდან
- საზოგადოებრივი ჯანდაცვა და უსაფრთხოება

ზოგიერთ კანონი და სხვა ნორმატიული აქტი (მაგალითად, ფინანსური ანგარიშგების შესახებ ან საგადასახადო კანონები) შესაძლოა უშუალო გავლენას ახდენდეს დამკვეთის ფინანსურ ანგარიშგებაზე. სხვა შემთხვევებში, კანონები ან სხვა ნორმატიული აქტები შესაძლოა გავლენას არ ახდენდეს ფინანსურ ანგარიშგებაზე, მაგრამ მათ დაცვას შეიძლება ფუნდამენტური მნიშვნელობა ჰქონდეს დამკვეთის სამეწარმეო საქმიანობის გარკვეული ასპექტებისთვის, მისი შესაძლებლობისთვის, განაგრძოს საქმიანობა, ან თავიდან აიცილოს არსებითი საჯარიმო სანქციები (როგორიცაა გარემოს დაცვასთან დაკავშირებული მარეგულირებელი ნორმები).

**უფრო დიდი პასუხისმგებლობა აუდიტორებისთვის**

აუდიტისა და მიმოხილვის გარიგებების ხასიათიდან და ამგვარი გარიგებების მიმართ საზოგადოების მოლოდინიდან გამომდინარე, ასეთი გარიგებების შემსრულებელ საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებულ პროფესიონალ ბუღალტრებს უფრო მაღალი პასუხისმგებლობა აკისრიათ, ვიდრე მათ, რომლებიც ასრულებენ აუდიტისა და მიმოხილვის გარდა სხვა სახის გარიგებებს.

გარდა ამისა, აუდიტორებს ევალებათ ასს 250-ის დაცვა, რომელიც მოიცავს სპეციფიკურ მოთხოვნებს აუდიტორებისათვის, აუდიტის ჩატარებისას კანონმდებლობის გათვალისწინებასთან დაკავშირებით.

**კონფიდენციალობის შესახებ**

- კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება შესაბამისი ორგანოებისთვის არ მიიჩნევა კონფიდენციალობის ვალდებულების დარღვევად.
- პროფესიონალმა ბუღალტერმა უნდა იმოქმედოს კეთილსინდისიერად და სიფრთხილე გამოიჩინოს ნებისმიერი რამის მტკიცებისას ან განცხადების გაკეთებისას და დაადგინოს, საჭიროა თუ არა დამკვეთის ინფორმირება.

**განვიხილოთ შემდეგი სცენარი:** ერთ-ერთმა ტექნოლოგიურმა კომპანიამ შექმნა და დააპატენტა სახის ამოცნობის ძალიან პერსპექტიული სისტემა. პროდუქციის ხაზს, რომელიც პასუხისმგებელია ამ სისტემის ფუნქციონირებაზე, შეექმნა გარკვეული პრობლემები, ვინაიდან მისი ხელოვნური ინტელექტის ალგორითმებში გამოვლენილმა ტენდენციურობამ გაყიდვები შეანელა. ამ პროდუქტის სასოწარკვეთილი მენეჯერი - აღმასრულებელი დირექტორის პროტეჟე - გარე მომწოდებელთან ერთად ჩაერთო კრიპტოვალუტის ფულის გათეთრების სქემაში, რომლის შემოსავლები განკუთვნილია იმისათვის, რომ დროებით შენიღბოს განყოფილების დაღმავალი ფულადი ნაკადები, სანამ ალგორითმებთან დაკავშირებული საკითხი არ მოგვარდება.

## საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტერი, თავისი როლიდან გამომდინარე, მიიღებს შესაბამის ზომებს

### აუდიტის გარიგებაში ჩართული საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტერი :

თუ აუდიტორი გამოავლენს ან უბრალოდ იეჭვებს, რომ შესაძლოა კანონმდებლობის დარღვევას აქვს ადგილი, მას შემდეგ, რაც აღმოაჩენს უჩვეულო ოპერაციების სერიას, რომელიც მოიცავს კრიპტოვალუტის გადაცვლის ისეთ შემთხვევებს, რომლებიც ფულის გათეთრების მაღალი რისკის მატარებელია:

- აუდიტორმა უნდა სცადოს საკითხის შესწავლა, მათ შორის წარმოდგენა შეიქმნას მის ხასიათზე, გარემოებებზე, როგორ გამოიყენება კანონმდებლობა და რა შედეგები შეიძლება მოუტანოს ამან დამკვეთსა და დაინტერესებულ მხარეებს.
- საკითხი უნდა განიხილოს ხელმძღვანელობის შესაბამისი დონის წარმომადგენლებთან, ან მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან (როგორიცაა აუდიტის კომიტეტი) იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში ზედა დონის ხელმძღვანელობის ჩართულობა.
- ხელმძღვანელობას ან მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს უნდა ურჩიოს:
  - ➤ გამოასწორონ, აღმოფხვრან ან შეამსუბუქონ დარღვევის შედეგები;
  - ➤ ხელი შეუშალონ დარღვევის წარმოშობას, თუ ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა;
  - ➤ საკითხის შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ შესაბამის ორგანოს, თუ ეს მოითხოვება მოქმედი კანონმდებლობით ან ამის გაკეთება აუცილებელია საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად.
- განიხილოს, ხელმძღვანელობამ ან მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელმა პირებმა იციან თუ არა ამ საკითხთან დაკავშირებული თავიანთი იურიდიული ან მარეგულირებელი ვალდებულებები.
- დაიცვან კანონმდებლობისა და აუდიტის სტანდარტების (მაგალითად, ასს 250-ის ) მოთხოვნები.

### გარდა ამისა, აუდიტორისგან მოელიან, რომ იგი:

- შეაფასებს დამკვეთის მიერ გატარებული საპასუხო ზომების მიზანშეწონილობას, დაადგენს, აუცილებელია თუ არა დამატებითი ზომების გატარება საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად და გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინებს, *გონიერი და ინფორმირებული მესამე მხარე* დაასკვნიდა თუ არა, რომ ბუღალტერი მოქმედებდა შესაბამისად.
- დამატებითი ზომები შეიძლება მოიცავდეს საკითხის შესახებ სათანადო ორგანოებისთვის ინფორმირებას, მაშინაც კი, თუ ამის არანაირი სამართლებრივი ვალდებულება არ არსებობს და, სიტუაციიდან გამომდინარე, გარიგებიდან გამოსვლას. გარიგებიდან გამოსვლასთან ერთად მაინც აუცილებელია ზემოაღნიშნული საჭირო ზომების მიღებაც.
- სამუშაო დოკუმენტებში ასახავს, რამდენად შეასრულეს დაკისრებული პასუხისმგებლობა, მათ შორის განსჯას/მიღებულ გადაწყვეტილებებს, განხორციელებულ ქმედებებსა და დამკვეთის მიერ გატარებულ საპასუხო ზომებს.
- იმ შემთხვევაში თუ მოცემული აუდიტი ჯგუფის აუდიტის გარიგების ნაწილია, აუდიტორს დამატებითი მოთხოვნების შესრულება ევალება.

## საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტერი, რომელიც ასრულებს აუდიტისა და მიმოხილვის გარდა სხვა სახის გარიგებებს:

თუ საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტერი, რომელიც ასრულებს საგადასახადო, შეფასებისა და სხვა სახის პროფესიულ მომსახურებას, გამოავლენს უკანონო ოპერაციებს ან ეჭვი გაუჩნდება, რომ შეიძლება უკანონო ოპერაციები იყოს განხორციელებული, მოსალოდნელია, რომ იგი:

- შეეცდება საკითხის შესწავლას;
- განიხილავს საკითხს ხელმძღვანელობის შესაბამისი დონის წარმომადგენლებთან, ან მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან (იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში ზედა დონის ხელმძღვანელობის ჩართულობა);
- აუცილებლობის შემთხვევაში, ინფორმაციას მიაწოდებს აუდიტორს. ამის განსაზღვრა დამოკიდებული იქნება შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებაზე:
  - ➤ შესაბამისი კანონები და სხვა ნორმატიული აქტები;
  - ➤ აუდიტს ერთი და იგივე ფირმა ატარებს თუ არა;
  - ➤ საბჭომ ამ საკითხის შესახებ აუდიტორს მიაწოდა თუ არა ინფორმაცია;
- განსაზღვრავს, საჭიროა თუ არა დამატებითი ზომების გატარება საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

**ისაუბრეთ ღიად**

კანონმდებლობის გარდაუვალი დარღვევის შემთხვევაში, რომელიც, სავარაუდოდ, მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს ინვესტორებს, კრედიტორებს ან ფართო საზოგადოებას, საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებულ პროფესიონალ ბუღალტერს შეუძლია გადაწყვიტოს, რომ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საკითხის შესახებ შესაბამის ორგანოს, ამგვარი დარღვევის შედეგების შერბილების მიზნით.

**ანგარიშის წარდგენა შესაბამისი ორგანოებისთვის:** პროფესიონალი ბუღალტერი უნდა იცნობდეს და იცავდეს მის იურისდიქციაში მოქმედ საკანონმდებლო და მარეგულირებელ დებულებებს, მაგალითად, მოთხოვნებს, რომლებიც უკავშირდება საკითხის შესახებ სათანადო ორგანოსთვის ანგარიშის წარდგენას, ან აკრძალვას, რომელიც სავარაუდო ქმედებაზე ორგანიზაციის გაფრთხილებასთან არის დაკავშირებული.

### სად მივიღებთ დამატებით ინფორმაციას?

კანონმდებლობის დარღვევებთან დაკავშირებული მითითებები საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტრებისთვის შეგიძლიათ იხილოთ კოდექსის 360-ე განყოფილებაში. ბესსს-ის (IESBA) ვებგვერდზე, განყოფილებაში „Support & Resources“ მოცემულია სასარგებლო მითითებები საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტრებისთვის, მათ შორის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების სია (NOCLAR Fact Sheet), ბესსს-ის პერსონალის კითხვა-პასუხი (IESBA Staff Q&As) და ვიდეოები, რომლებშიც კანონმდებლობის დარღვევის ფაქტები განხილულია სხვადასხვა პოზიციიდან. აგრეთვე, ბესსს-ის ვებგვერდზე მოცემულია მრავლისმომცველი განყოფილება კანონმდებლობის დარღვევებთან დაკავშირებით - NOCLAR webpage.

www.IESBAeCode.org-ზე თქვენ იხილავთ eCode-ის - ონლაინ რესურსს, რომელიც განკუთვნილია ბუღალტერთათვის და ასევე კოდექსის სხვა მომხმარებლებისათვის. იგი იძლევა კოდექსზე სწრაფად და ეფექტურად წვდომის საშუალებას, რაც ამარტივებს მის მოხმარებასა და პრაქტიკაში დანერგვას/გამოყენებას.

IFAC International Federation of Accountants®
529 Fifth Avenue, New York 10017
www.ifac.org | +1 (212) 286-9344 | @ifac | company/ifac

IESBA International Ethics Standards Board for Accountants®
www.ethicsboard.org
@ethics_board | company/iesba

*ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) თანხმობით მის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული დოკუმენტი „ბესსს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა - ნაწილი 9: რეაგირება კანონმდებლობის დარღვევაზე (საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტრებისთვის)“ ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოქვეყნდა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ. IFAC-ის მიერ დამტკიცებულ ტექსტს წარმოადგენს მის მიერ გამოცემული ინგლისურენოვანი ვერსია. IFAC არ იღებს პასუხისმგებლობას თარგმანის სისწორესა და სისრულეზე ან მისგან გამომდინარე ნებისმიერ ქმედებაზე.*

*„ბესსს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა - ნაწილი 9: რეაგირება კანონმდებლობის დარღვევაზე (საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტრებისთვის)“ - ინგლისურენოვანი ვერსია © [2020], IFAC. ყველა უფლება დაცულია.*

*„ბესსს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა - ნაწილი 9: რეაგირება კანონმდებლობის დარღვევაზე (საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტრებისთვის)“ - ქართულენოვანი ვერსია © [2020], IFAC. ყველა უფლება დაცულია.*

*სათაური ინგლისურ ენაზე: Exploring the IESBA Code Installment 9 – Responding to Non-Compliance with Laws and Regulations [for PAPPs]*

წინამდებარე დოკუმენტის გავრცელების, შენახვისა და გადაცემის, ან ნებისმიერი სხვა სახით მისი გამოყენების თაობაზე დაუკავშირდით IFAC-ს: *Permissions@ifac.org*